

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქეთევან სიხარულიძე

გურიის ბოლშევიკთა 1919 წლის აჯანყება საქართველოს
დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ

თბილისი 2019

სარჩევი

ანოტაცია.....	3
Summary	4
შესავალი.....	5
თავი I. საზოგადოებრივი განწყობები გურიაში აჯანყების წინ.....	8
თავი II. გურიის ბოლშევიკთა 1919 წლის აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.....	12
2.1. მზადება აჯანყებისათვის.....	12
2.2. აჯანყების მსვლელობა	18
2.3. აჯანყების დასასრული, პროცესების შეჯამება.....	25
დასკვნა	30
დამოწმებულილიტერატურა:	32

ანოტაცია

ნაშრომის აქტუალობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რაც ქართული ისტორიოგრაფია გათავისუფლდა კონიუნქტურისგან, აქტიურად დაიწყო საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ობიექტური კვლევა, მიუხედავად ამისა, მთელი რიგი საკითხები, მოვლენები, დღემდე შეუსწავლელია, მათ რიგს განეკუთნება ჩვენი საკვლევი თემაც, რომელზეც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ცალკეული სტატიაც კი არ არის დაბეჭდილი.

ნაშრომის მიზანია აღწეროს გურიის ბოლშევიკთა 1919 წლის აჯანყება. ავსახოთ, თუ როგორ დაიგეგმა და როგორ მიმდინარეობდა შეიარაღებული გამოსვლა და რა შედეგით დასრულდა.

ნაშრომის ამოცანაა მოცემული ისტორიული მოვლენის ობიექტური სინამდვილის ასახვა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ნაშრომი სიახლეა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რადგან მასზე კონკრეტული მონოგრაფია ან სტატია არ მოგვეპოვება, გარდა ამისა, ნაშრომი ეყრდნობა საარქივო მასალას, რომელიც გამოუქვეყნებელია.

Summary

The paper discusses the events of 1919 rebellion in Guria region. In Soviet era this topic was investigated to some extent, but in modern Georgian scholarship the research of this topic is far from sufficient. The aim of our paper is to reconstruct the scope of the rebellion objectively and to discuss the process and the results of this rebellion. The sources used in this paper are firstly published in Georgian scholarly.

The above mentioned rebellion includes the period of November 8-10, of 1919. But many issues are very problematic. Who were the leaders? what was the main goal of Gurian Bolsheviks and what was the role of the Russian communist party leaders in the organization of this rebellion? Was the conspirators armament enough for success? We also touch the measures undertaken by Georgian authorities while putting down the rebellion.

Gurian Communist movement by the year 1919 can be divide into three parts:

During the first part from winter to autumn of 1919 – they arranged meetings and planned how to take advantage. How to occupy there main centres throughout Guria region: Ozurgeti, Lanchkuti and Chokhatauri.

The second part was their actual protest and their first success, their brief advantage in Chokhatauri.

The third and the last part was their defeat, their persecution and execution.

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი და ყველაზე ხანგრძლივი ეტაპი ამ კვლევისა საბჭოთა პერიოდი იყო, როდესაც მეცნიერება კონიუნქტურის ქვეშ იყო მოქცეული. ახალი ეტაპი საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ პერიოდში დაიწყო, როდესაც მოიხსნა ცენზურა და ისტორიკოსებს საშუალება მიეცათ შედარებით ობიექტურად განეხილათ საკითხები.

მემუარულმა მასალამ ერთგვარად ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების დროს დამკვიდრებული კლიშეების დაბრუნებას მეცნიერებაში, რადგან მემუარების დიდი ნაწილი პირველი რესპუბლიკისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირების მიერ იყო დაწერილი და ნაკლებად ასახავდა ობიექტურ სინამდვილეს. კვლევის მესამე ეტაპად შეიძლება თანამედროვე პერიოდი ჩაითვალოს, ნელ-ნელა იხსნება ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ და მიმდინარეობს კომპლექსური კვლევა.

ნაშრომის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ წარმოვაჩინოთ, თუ რა ვითარებაში მიმდინარეობდა 1919 წლის გურიის აჯანყება, ვინ იღებდა მასში მონაწილეობას, რა იარაღი გააჩნდათ, სად იყო აჯანყების ძირითადი კერა, რომელი პუნქტები უნდა დაეკავებინათ ამბოხებულებს, რამ შეუშალა აჯანყების წარმატებით დასრულებას ხელი და რა ვითარებაში მიმდინარეობდა შეიარაღებული გამოსვლა.

საკვლევად არჩეული გვაქვს ისტორიულ-კომპლექსური მეთოდი. ვეყრდნობით საარქივო მასალას, აჯანყების მონაწილეთა მოგონებებს და პრესის ცნობებს. არქივთან დაკავშირებით უნდა დავაკონკრეტოთ, რომ ნაშრომში გამოყენებული დოკუმენტაცია დაცულია ეროვნული არქივის: საისტორიო, (შსს-ს, მთავრობის, იუსტიციის, გვარდიის, დამფუძნებელი კრების ფონდები) და უახლესი ისტორიის არქივში. ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივში. ასევე ჩოხატაურის მუზეუმში დაცულ მოგონებათა კოლექციას,¹ რომელიც აჯანყების მონაწილეთა მიერ არის ჩაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ მოგონებები თანამედროვე ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებად სანდო წყაროდ ითვლება, არის რიგი შემთხვევები, როდესაც მისი გამოყენება

¹სამწუხაროდ, ეს მასალა კატალოგიზებული არ არის, ჩვენ მიერ შემუშავებული პრინციპით გვიწვევს ნაშრომში მითითება.

რელევანტურია, რადგანაც ზოგი დეტალი მხოლოდ თანამედროვეთა მეხსიერებას შეიძლება შეემორჩინოდა. ეს მოგონებები საინტერესოა იმით რომ მონაწილე პირები დეტალურად აღწერენ მიმდინარე მოვლენებს, აღადგენენ დიალოგებს აჯანყებულებს შორის და გარკვეული კუთხით ამ მოვლენის ემოციურ ფონს გვაჩვენებენ.

დამატებით ინფორმაციას ვიღებთ პრესის მეშვეობით, აღსანიშნავია გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ერთობა“. გარდა ამის, გამოვიყენებთ „რევოლუციის მატინეს“, რომელშიც დაბეჭდილია თანამედროვეთა მოგონებები.

მოცემულ საკითხზე სამეცნიერო მონოგრაფია საბჭოთა საქართველოშიც არ დაწერილა, გურიის 1919 წლის აჯანყება ზოგადად მიმოხილულია დ. ჯიბლაძის წიგნში: „1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში“, ძალიან მოკლედ აღწერს საქართველოს ისტორიის ნარკვევების მექვსე ტომი გურიის აჯანყებას, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ზედმეტად ლაკონურად მიმოხილავს საკითხს, ეხება ისეთ მნიშვნელოვან გარემოებას როგორცაა აჯანყების დამარცხების მიზეზები. აქვე უნდა ვახსენოთ ჩვენივე სტატია, რომელიც 2018 წელს დაიბეჭდა კავკასიის უნივერსიტეტის შრომების კრებულში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა- ახალი ეპოქის დასაწყისი: „1919 წლის ჩოხატაურის შეიარაღებული გამოსვლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ“.

კვლევის შედეგად, გადავაფასებთ საბჭოური კონიუნქტურის ქვეშ დაწერილ ლიტერატურას, რომელიც ზოგადად ეხება ჩვენს საკვლევ ობიექტს, ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალის მეშვეობით შევისწავლით გურიის 1919 წლის აჯანყებას თანამედროვე გადმოსახედით, მკითხველისთვის ნაცნობი გახდება არაერთი ფაქტი და პიროვნება, რომელსაც ქართული ისტორიოგრაფია არ იცნობს.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა. ახლად შექმნილი სახელმწიფოს წინაშე არაერთი გამოწვევა იდგა, რომელიც აფერხებდა მის განვითარებას, მაგრამ მთავრობა თავს ართმევდა შექმნილ პრობლემებს.

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გარდა, ომს სომხეთთან, საომარ მოქმედებებს დენიკინისა და ბოლშევიკთა რუსეთთან თან ერთვოდა სხვადასხვა ეპიდემიები, ყვავილი, ე.წ ისპანკა, ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა გორის მიწისძვრამაც და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ბოლშევიკთა

აქტიური მუშაობა, რაც ანარქიას წარმოშობდა ქვეყანაში. მთავრობას დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მუდმივად უწევდა ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1918-1920 წლებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში, მოხდა ბოლშევიკთა შეიარაღებული გამოსვლა. აღსანიშნავია, დუშეთის მაზრაში მოხდარი აჯანყება, სოხუმში, გორში, ხაშურში, კულაშში, თითქმის საქართველოს ყოველ რეგიონსა და რაიონში აჯანყდნენ ბოლშევიკები.

დღეს მკვლევრები დაინტერესებულები არიან და აქტიურად იკვლევენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიას, მაგრამ მათი ინტერესი ძირითადად მიმართულია საგარეო ურთიერთობის, პოლიტიკური პარტიების, გვარდიის ისტორიის, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შესწავლისკენ. ხოლო ბოლშევიკთა აჯანყებათა შესწავლის მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

თავი I. საზოგადოებრივი განწყობები გურიაშია ჯანყების წინ

გურია პირველი რესპუბლიკის დროს გამორჩეული მხარე იყო პოლიტიკური აქტივობის თვალსაზრისით. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ამ კუთხეში უამრავი მხარდამჭერი ჰყავდა. მაგალითად, 1919 წლის არჩევნებში გურიაში ცალსახად უპირატესობა ჰქონდა სოციალისტურ ბლოკს სხვა პოლიტიკურ ძალებთან შედარებით. სოციალისტურმა ბლოკმა მოიპოვა 95,5 %, ანუ 36 073, მაშინ როდესაც ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ - 1,7 % 651.² უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოზურგეთის მაზრაში ყველა სოციალისტური პარტია ბლოკით, ერთიანი სიით გამოვიდა, რომელიც აერთიანებდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას და სოციალ-რევოლუციონერთა პარტიას.³ მაგრამ, ფაქტია, არსებობდა ადამიანთა ნაწილი, რომელიც ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა.

აჯანყებულთა პოზიციას თუ გავითვალისწინებთ, შეიარაღებულ გამოსვლას რეალური საფუძვლები ჰქონდა, ისინი უკმაყოფილონი იყვნენ, ხელისუფლების მკაცრი პოლიტიკით, რომელიც მიმართული იყო ადგილობრივი ბოლშევიკების, ან საზოგადოების იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ბოლშევიკურად იყო განწყობილი. აჯანყებულები, ხშირად წერდნენ, თუ რამდენად მძიმე იყო მათთვის, გვარდიის ოფიცრის სერგო მათითაიშვილის ამ თუ იმ სოფელში გამოჩენა.⁴ შეიძლება ვიფიქროთ რომ, ვინც ამ გარემოებაზე საუბრობს, ან ანტიმენშევიკურ პროპაგანდას ავრცელებს, ან უბრალოდ რეალობას იხსენებს, სამწუხაროდ, მხოლოდ მოგონებათა კოლექციაზე დაყრდნობით გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით.

დოკუმენტების მიხედვით შეგვიძლია ვისაუბროთ ბოლშევიკური გავლენაზე რეგიონში. ასე მაგალითად : ადგილობრივი ბოლშევიკები მიესალმებოდნენ კომუნისტური ბეჭდური მედიის გამოსვლას. „დიდი აღტაცებით და გამოუთქმელი სიხარულით ვეგებები ორკვირეული ორგანოს „კომუნისტის“ პირველი ნომრის გამოსვლას. დღეს, როცა ჩახშობილია თავისუფალი აზრი და სიტყვა, დიდს ნიშნავს

²ირაკლი ხვადაგანი. ერობა, ტ. I. თბ. 2018, გვ. 163.

³ირაკლი ხვადაგანი. ერობა, ტ. I. თბ. 2018, გვ. 163.

⁴საქართველოს ცენტრალური საისტორია არქივი (შემდეგში სცსა). ფონდი. 1863. აღწერა. 1. საქმე 235. ფურცელი 105.

გურიის გლეხკაცობისთვის ეს პატარა ორგანო. გისურვებთ რომ გამხდარიყოს „დიდი ორგანო“ ნამდვილი მოამაგე მშრომელთა ინტერესებისა, გისურვებთ შემოგეკრიბოთ თავის გარშემო გურიის მუშა-გლეხკაცობა და კერძოდ რევოლუციონერი ახალაგაზრდობა.“ ლანჩხუთი, სპარტაკელი: ო. ც-ძე“. ⁵

აქვე შეგვიძლია მოვიტანოთ ისევ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ადგილობრივი ბოლშევიკის თვალით დანახული გურიის სურათი: „ვისაც შემოუვლია დღევანდელი გურიის სოფლები გაცნობია და ღრმად დაკვირვებია მშრომელთა გლეხკაცობის ცხოვრებას ის ნათლად შეამჩნევდა საქართველოს და კერძოდ გურიის სოფლის ცხოვრებას. საზოგადოებრივი აზრი დიდ რყევას განიცდის. მენშევიკების აშკარა მოღალატურმა პოლიტიკამ, თავიანთი პროგრამის მივიწყებამ, ხალხი ერთგვარ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. დღეს მენშევიკების პარტიის დაკვირებული წევრებიც კი ამბობენ რომ მთავრობამ მოგვატყუა დაივიწყა თავის პროგრამა: „საით წავიდე, ვის გავეყვე, ვის ვენდო?“ აი, ამოძახილი სოფლის გლეხკაცობის და დღევანდელი ჩვენი ცხოვრების, მაგრამ დახეთ ასეთ რყევას თავს ანებებს და სცნობს თავის ნამდვილ პარტიას კომუნისტურ პარტიას. მან დღეს მიხვდა, რომ მუშათა კლასი არ არის განწირული, არსებობს მისი შეუპოვარი დამცველი თვით მუშათა პარტიაა. გურიის სხვადასხვა სოფლებში კომუნისტური პარტიის სხვადასხვა ხელმძღვანელობა, ყველა ფხიზლდება, ყველა ირაზმება, გაუმარჯოს ხალხის გამოფხიზლებას და შეგნებას!“⁶ ლოგიკურია, რომ ხელისუფლებას ჰყავს ოპოზიცია და ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბოლშევიკები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ მთავრობის პოლიტიკური კურსით, რუსეთთან ჩამოშორებით, პროდასავლური ორიენტაციით, უპირველეს ყოვლისა კი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, რომელიც პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია, როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში, აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას და ამისთვის ცხადია იყენებდნენ მედიის მასობრივ საშუალებას პრესას. ცხადია, „კომუნისტი“, რომელიც ცალსახად ბოლშევიკთა პარტიული გაზეთი იყო პროპაგანდისთვის იყენებდა ამ ტიპის მასალას და

⁵სკსა. ფონდი .1863. აღ. 1. საქ. 319 , ფურც. 65.

⁶სკსა. ფონდი. 1863. აღ. 1. საქ. 319, ფურც. 80.

ცდილობდა მსგავსი მაგალითების ფონზე შეექმნა საზოგადოებრივი აზრი კონკრეტულ მხარესა და რეგიონში.

ბოლშევიკების მცდელობები რომ გურიაში ანარქია შეექმნათ არ დარჩენილა ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღების მიღმა. ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო ძალები ბოლშევიკების ავანტიურას ადეკვატურად პასუხობდნენ. მაგალითად, შეგვიძლია მოვიტანოთ შემდეგი ფაქტები : 1919 წლის 25 ივლისს ოზურგეთის მაზრის მილიციის უფროსი წერდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის უფროსს: „მოგახსენებთ რომ დაკავებულია სოფელ ლესას ნიგოითის საზოგადოების მცხოვრები ალექსი იმნაძე, რომელიც 20 ივლისს ამ სოფელში თავმჯდომარეობდა ბოლშევიკების მიტინგს, ხსენებული იმნაძე არის პარტიული ჯაშუში, განზრახ ირიცხებოდა მენშევიკურ პარტიაში, სინამდვილეში კი ეკუთვნის ბოლშევიკურ პარტიას“.⁷

შემდეგ დოკუმენტში ვკითხულობთ: ლანჩხუთსა და ჩიბათში ოცდახუთ აგვისტოს პარტიის ინიციატივით მოწვეული იყო მიტინგი, ბოლშევიკებმა მოახდინეს ობსტრუქცია. ჩიბათში სიტყვით გამოვიდნენ ფედერალისტები, ისინი ბოლშევიკებს უჭერდნენ მხარს, ილაპარაკა ფედერალისტმა პ. საყვარელიძემ. ჩიბათიდან მომიტინგეები ხალხმა განდევნა. ბოლშევიკები ლანჩხუთის უბანში დაატყვევეს. შეტყობინების ავტორი დასძენს რომ აქვს უფლება აკრძალოს მიტინგი და დაატყვევოს მომიტინგეები. 1919 წლის 27 აგვისტო.⁸

1919 წლის ორი აგვისტოს ანგარიშში პოლიციის უფროსი საუბრობს გურიაში არსებული პრობლემების შესახებ, ყურადღებას ამახვილებს ბოლშევიკური ლიტერატურის გავრცელებაზე, რის გამოც მან არაერთი პირი დააპატიმრა. დააპატიმრეს: ჩოხტაურიდან ანდრია დოლიძე, ოზურგეთიდან მკურნალი, ჩიბათიდან 6, ხოლო ნიგოითიდან 4 კაცი.⁹

როგორც ვხედავთ, 1919 წელს, აჯანყების მზადების პარალელურად, მთავრობა გურიაში ყველა შესაძლებლობას იყენებდა, რათა თავიდან აეცილებინა ანარქია,

⁷სკსა. ფონდი. 1863, აღ. 1. საქ. 1429, ფურც. 69.

⁸სკსა. ფონდი. 1863. აღ. 1. საქ. 322, ფურც. 66.

⁹სკსა. ფონდი. 1863. აღ. 1. საქ. 235, ფურც. 105.

მიუხედავად აჯანყებულთა კონსპირაციული კრებებისა, მთავრობამ მოახერხა და დააპატიმრა ხიდისთავის ბოლშევიკური კომიტეტი სოფელ ბუკნარში.¹⁰

¹⁰საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სუიცსა). ფონდი 2417. ად. 1. საქ. 336, ფურც. 8.

თავი II. გურიის ბოლშევიკთა 1919 წლის აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

2.1. მზადება აჯანყებისთვის

1918 წლის დუშეთის აჯანყებაში განცდილმა მარცხმა შეასუსტა ბოლშევიკების აქტიური მუშაობა საქართველოში. მათი ინტენსიური მუშაობა დაიწყო 1919 წლის გაზაფხულიდან, ისინი მიზნად ისახავდნენ მოეწყოთ აჯანყება მთელ საქართველოში. ბოლშევიკთა აჯანყებებს ორგანიზებას უწევდა რ.ს.დ.მ.პ (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, ის ფინანსური, თუ იდეოლოგიური თვალსაზრისით გადაწყვეტ როლს თამაშობდა აჯანყების მოწყობაში. მათი მთავარი მიზანი იყო ერთიანი აჯანყების მოწყობა საქართველოსა და კავკასიაში: „გასაბჭოებულ საქართველოს დახმარება უნდა აღმოეჩინა წითელი არმიისთვის, მთავარი ყურადღება მიმართული იყო რუსეთისკენ.¹¹

რაც შეეხება, უშუალოდ გურიას: „1919 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში გურიის ორგანიზაციამ რამდენიმე რაიონში ჩაატარა ღია კრებები, ღია მიტინგები“. ¹²

აჯანყებას უნდა ჰქონოდა საერთო ხასიათი, თუმცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული მუშაობის შედეგად, ბოლშევიკებმა ეს გეგმა ვერ განახორციელეს. მოცემულ დროს საქართველოში მხოლოდ სამი აჯანყება მოხდა. გურიის გარდა, აჯანყდა გორი, სოფ. მეჯვრისხევი და ახალქალაქი, თუმცა აჯანყება აქაც ჩაახშო სამთავრობო ძალებმა. საინტერესოა, ის გარემოებაც რომ თავდაპირველად, სანამ აჯანყების ორგანიზატორები ფიქრობდნენ რომ აჯანყებას ჰქონდა აზრი, გეგმა სხვაგვარი იყო, კონკრეტულად იგულისხმებოდა, რომ აჯანყება უნდა დაწყებულიყო თბილისიდან და მას უნდა შეერთებოდა რეგიონები, მაგრამ ეს გეგმა არ განხორციელდა, რადგანაც მთავარი ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა გასცა აჯანყება და ამ გეგმის შესახებ 22 ოქტომბერს აცნობა მიხეილ კედიას განსაკუთრებულ რაზმს. კრების წევრები მექი კედიამ დააპატიმრა. ამ დროისთვის აჯანყების მთავარ თარიღად

¹¹გრიგოლ ჟვანია. ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. თბ. 1957, გვ. 73.

¹²ფილიპე მახარაძე. საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917-1921. თბ. 1927, გვ. 179.

მოიაზრებოდა 24 ოქტომბერი, თუმცა მოცემული ვითარების გამო რეგიონებს დაეგზავნათ დეპუტები რომ არ აჯანყებულიყვნენ. ინფორმაციის მიღება ვერ მოასწრო ფოთმა და ლაგოდეხმა. ამ მოცემულობამ აიძულა მეთაურები რომ შეეცვალათ გეგმა, შესაბამისად აჯანყება დაიწყებოდა რეგიონებიდან და შემდგომში შეუერთდებოდა თბილისი.

როგორც გურიის აჯანყების მონაწილეები იხსენებდნენ, მათ მუდმივად ჰქონდათ კავშირი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან. მაგალითად, ამბოხებული ელიზბარ კალანდაძე წერდა რომ, იგი პირადად ხვდებოდა ფილიპე მახარაძეს, სერგო კახიანს და სხვა ბოლშევიკებს, მიდიოდა მათთან, რათა ორგანიზაციულ საკითხებში დახმარება მიეღო და გამოსვლები ფინანსურად უზრუნველყოფილიყო.¹³

ქუთაისიდან აჯანყებას ხელმძღვანელობდა მიხა ცხაკაია, რომელიც მამია ორახელაშვილის ბინაში არალეგალურ შეხვედრებს ატარებდა, გურიაში მივლინებული ჰყავდათ ცნობილი რევოლუციონერი გიორგი სტურუა.¹⁴ გარდა სტურუასი, აჯანყების მომზადებაში ჩართული იყო ცნობილი რევოლუციონერი სილიბისტრო (სილვა) თოდრია. აჯანყებული ბიკტორ მამალაძის მოგონებებში ვკითხულობთ: „1919 წლის ბოლო რიცხვებში მოვაწყვეთ არალეგალური კრება გაბრიელ ჩანტლაძის სახლში. ორგანიზაციამ დაადგინა დემონსტრაციის თარიღი. სიტყვით უნდა გამოსულიყო სილვა თოდრია, მე წითელი დროშა ამოვიტანე ხიდისთაველი დათიკო ფიცხალაიშვილისგან“.¹⁵

როგორც ზემოთ ვთქვით, აჯანყების დაგეგმვა, არ მომხდარა მხოლოდ საქართველოს საზღვრებს შიგნით, და მასში ჩართულნი არ ყოფილან მხოლოდ ქართველი ბოლშევიკები. გურიის აჯანყების იდეა არაერთხელ გაჟღერდა ბაქოს 1919 წლის კონფერენციაზეც. მაგალითად, ამ საკითხთან დაკავშირებით არქივში დაცული მოგონებათა კოლექციიდან ვიგებთ შემდეგს: „1919 წელს ბაქოში ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ ზაფხულში გაიმართა არალეგალური ყრილობა, რომელსაც საქართველოდან არაერთი დელეგატი ესწრებოდა, მათ შორის აღსანიშნავია გურული დელეგატი ვ. კალანდაძე, რომელმაც თავისი მოხსენება შემდეგი სიტყვებით დაამთავრა,

¹³ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ელიზბარ კალანდაძე მოგონება.

¹⁴ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ცინცაძე პავლეს მოგონება.

¹⁵საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სარქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი პარტიული არქივი) ფონდი 8. აღ. 2.საქ. 259, ფურც. 32-33.

გურია მზადაა აჯანყებისთვის და ელოდება შესაფერის მომენტს და თარიღის დადგენას მხოლოდ და მხოლოდ“.¹⁶

ბაქოს კონფერენციაზე დელეგატთა აზრი ორ ნაწილად გაიყო. კამათი გამოიწვია თუ რამდენად რელევანტური იყო იმ მომენტისთვის აჯანყების მოწყობა. როგორ ჩანს უპირატესობა მოიპოვეს აჯანყების მომხრეებმა. მიუხედავად იმისა, რომ საოლქო კომიტეტი არ ჩქარობდა ამ საკითხის დაყენებას.

გურიის აჯანყების დაგეგმვას მიემდგნა არაერთი კრება და პლენუმი, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი დირექტივებს აქტიური ბოლშევიკებისგან იღებდნენ და ადგილზე არ წყდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც იყო აჯანყების თარიღის განსაზღვრა. აქედანაც ნათლად ჩანს, რომ გურიის შეიარაღებული გამოსვლა ერთი დიდი საერთო აჯანყების ნაწილი იყო. სწორედ ამიტომ ერთიანი აჯანყების ორგანიზატორებს უნდა მოეგვარებინათ აჯანყების ტექნიკური მხარე. ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან ნათლად ირკვევა რომ აჯანყების თარიღი, მათ გაიგეს ბოლშევიკი გიორგი სტურუასაგან სოფ. ფიცხისჯვარში: „5 ნოემბერს მოვიდა ცენტრალური საოლქო კომიტეტის წევრი გიორგი სტურუა, მან განაცხადა რომ 7-8 ნოემბერს მთელ საქართველოში იქნება გამოსვლა, მათ შორის თბილისშიც, ვერ აჯანყდება მხოლოდ სამეგრელო, რადგან უფულობა გვიშლის ხელს.“¹⁷ გადაჭრით შეიძლება ერთი რამის თქმა, რომ ადგილობრივი კრებების უკანასკნელ სხდომებზე აჯანყების თარიღი არ გაჟღერებულა, ისინი ოფიციალურ ბრძანებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ელოდებოდნენ ზემდგომებისგან. ასე მაგალითად ლანჩხუთელი აჯანყებული აპოლონ იმნაიშვილი იგონებდა, რომ აჯანყების უკანასკნელი კრება გაიმართა ადგილობრივი ნესტორ კვირკველიას სახლში, სადაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ შეიარაღებული გამოსვლის კონკრეტული თარიღი.¹⁸ იგივე ხდებოდა ჩოხატაურშიც, რადგან უკანასკნელმა კრებამ, რომელიც გაიმართა, გორა-ბერეჟაულში, ვერ დაამტკიცა შეიარაღებული გამოსვლის თარიღი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აჯანყებისთვის მზადებას გურიაში მიემდგნა რამდენიმე კრება, ამათგან აღსანიშნავია შემდეგი:

¹⁶სუიცსა. ფონდი. 2417. აღ. 1. საქ. 107, ფურც. 1.

¹⁷სუიცსა. ფონდი. 2417. აღ. 1. საქ. 107. ფურც 2.

¹⁸სუიცსა. ფონდი. 2417. აღ. 1. საქ. 336, ფურც. 1.

1919 წლის სექტემბრის თვეში გორა-ბერეჯულში ერისთავების სასახლეში გაიმართა პლენუმი, რომელსაც ესწრებოდნენ, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სირაულის და ოზურგეთის წარმომადგენლები, ეს კრება ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი მოტივით: ვიგებთ, თუ რა კონსპირაციული ელემენტები გააჩნდა აჯანყებას. მაგალითად, კრების მონაწილეებს ჰქონდათ პაროლი, რომლის წარმოთქმის მეშვეობითაც ხდებოდა დაშვება კონკრეტულ კრებაზე, ასე მაგალითად, ერთ-ერთი აჯანყებული იხსენებდა რომ: „ნაგომრის ზევით ხიდთან შემხვდა კაცი, რომელიც ღიღინებდა, თანახმად ჩვენი შეთანხმებისა, ჩვენ გადავეცით პაროლი „შავი ზღვა“, მან მიგვიყვანა შეკრების ადგილას“.

¹⁹ აღსანიშნავია, ასალო ცინცაძის მოგონება, რომელიც იხსენებს რომ გ. სტურუასგან მიიღო დავალება კრებაზე მისვლისა, იგივე გიორგი სტურუა წერდა, რომ მასთან შუამავალ კაცს ხელზე თეთრი ცხვირსახოცი ექნებოდა დაბნეული და ეს იქნებოდა მისი ნიშანი.²⁰

აჯანყების თარიღის დადგენას ხელი შეუშალა კიდევ ერთმა გარემოებამ. კრების პარალელურად ნაგომარში სერგო მათითაშვილის მეთაურობით შემოვიდა გვარდია, რამაც აჯანყებულები იძულებული გახადა კრება დაეშალათ.

ბაქოდან აჯანყების მეთაურების დაბრუნების შემდეგ მთავარი შეკრება გაიმართა ფიცხისჯვარზე, რომელსაც, როგორც აპ. იმნაიშვილი წერს, ესწრებოდა გ. სტურუა. შეკრებაზე დადგინდა, რომ აჯანყება უცილებლად უნდა მომხდარიყო შემოდგომაზე.²¹

გურიაში აჯანყების მზადების პროცესში თითოეულ რაიონში ორგანიზაცია და პარტიული უჯრედი არსებობდა, რომელიც ერთმანეთს ინფორმაციას გადასცემდა და ამარტივებდა კომუნიკაციის პრობლემას. გურია დაყოფილი იყო 12 „რაიონად“, ამ რაიონს ხელმძღვანელობდა სამხედრო ხელმძღვანელი თავის შტაბის წევრებით, ასევე ათისთავებით და ასისტავებით. ეს უკანასკნელნი იყვნენ სოფლებში, და დაკავშირებულნი იყვნენ პარტიულ უჯრედებთან, რომლის საშუალებითაც იღებდნენ დირექტივებს. სამაზრო შტაბთან დაკავშირებული იყო რაიონის შტაბის ხელმძღვანელები. მაზრის შტაბს იდეურ ხელმძღვანელობას უწევდა სამაზრო პარტიული კომიტეტი. მას სათავეში ედგა მაზრის კომიტეტის თავმჯდომარე, ის ამავე

¹⁹ ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, არონიში ბარნაბის მოგონება, გვ. 1.

²⁰ ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ცინცაძე ასალოს მოგონება, გვ. 3.

²¹ დავით ჯიბლაძე. 1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში. თბ. გამომცემლობა. 1957, გვ. 36.

დროს მაზრის სამხედრო რევოლუციური შტაბის თავმჯდომარეც იყო.²² უკანასკნელ ეტაპზე აჯანყებას ხელმძღვანელობდა სამხედრო რევოლუციური შტაბი. სამაზრო-სამხედრო სარევოლუციო შტაბი შედგებოდა სამი კაცისგან: ს. ჭანჭილი, ს. ჯიბუტი და ტ. მგალობლიშვილი.

როგორც ირკვევა, აჯანყებულთა გეგმა შემდეგგვარი იყო: გ. სტურუას და ს. თალაკვაძეს უნდა ჰქონოდათ კავშირი ჯუმათთან და სირაულთან. შეერთებული ძალებით სოფლების ასკანის, ხიდისთავის, ნაგომრის რაზმები აიღებდნენ ოზურგეთს. ჩოხატაურის ალბა ევალეზოდან შემდეგ სოფლებს ამაღლებას, ჯვარცხმას, ფარცხმას, ბუკისციხეს, იანეულს, ერკეთსა და ქვაბლას.²³

როგორც ჩანს, საერთო მეთაურების გარდა სხვადასხვა სოფლის რაზმს ცალკე ჰყავდა ხელმძღვანელები. ალბათ, ეს უფრო ამარტივებდა კომუნიკაციას აჯანყების მთავარ ორგანოსა და სოფლებს შორის. თავის მხრივ, კი სამივე რაიონს სამ-სამი მეთაური ჰყავდა. თუ რომელიმე მეთაური ჩავარდებოდა სხვა გააგრძელებდა მის უფლება-მოსილებას. ეს ერთგვარი თავის დაზღვევის საშუალება იყო. მაგალითად : სუფსაში აჯანყებას სამი მეთაური ჰყავდა: კ. გურგენიძე, მოსე და ნესტორ ლლონტები“.²⁴

ცხადია, აჯანყებულთათვის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა იარაღის მოპოვების საკითხი. როგორც თვითონ აჯანყებულები იგონებენ იარაღის მოპოვების მთავარი წყარო ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები იყვნენ, აჯანყებულებს უმეტესად გააჩნდათ „ბერდენის“ ტიპის თოფები, ნახსენებია ასევე შაშხანა, რომელიც ხევ-ერკეთის რაზმში მხოლოდ ერთ ადამიანს ჰქონდა და რომელიც ბოლშევიკმა ძმამ მოჰპარა მენშევიკ ძმას.²⁵ ადგილობრივი უჯრედების კრებების მთავრი განხილვის საგანი იყო იარაღი: „ამ მოხსენებათა შინაარსი მეტ წილად შეიცავდა ანგარიშს იმის შესახებ, თუ რამდენი თოფი და რამდენი ვაზნა შეიძინა უჯრედმა, რა იარაღია მის განკარგულებაში“.²⁶ ჩოხატაურელ აჯანყებულებს გააჩნდათ ერთი ტყვიამფრქვევი, რომელზეც ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას.

²²სუიესა. ფონდი. 2417. აღ. 1. საქ. 107, ფურც. 2.

²³ჟურნ. „რევოლუციის მატთანე“. №2. 1926, გვ. 15.

²⁴ჟურნ. „რევოლუციის მატთანე“. №2. 1926, გვ. 5.

²⁵ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, უჯმაჯურიძის ნარკვევი, გვ. 10.

²⁶ფილიპე მახარაძე. საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917-1921. თბ. 1927, გვ. 178

აჯანყებულთა ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა იარაღის სიმცირე. ერთ-ერთი მებრძოლის ცნობით, ერკეთში მასთან ერთად რაზმში 27 კაცი იყო და იარაღი მხოლოდ ხუთ მათგანს ჰქონდა. სწორედ ამ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას ლანჩხუთის აჯანყების მონაწილე იმნაიშვილი, რომელიც დასძენს რომ მარცხის მთავარი მიზეზი იყო იარაღის საკმარისი რაოდენობის უქონლობა.²⁷ იარაღის საკითხთან დაკავშირებით გვაქვს ერთი ცნობა, თუმცა რადგანაც ის თანხვედრაში არ მოდის საარქივო მასალასთან ეჭვს იწვევს ჩვენში. კერძოდ, ვიგებთ, რომ აჯანყების მონაწილეები მიტროფანე მამალაძე და ლადიკო ჩანტლაძე დაუკავშირდნენ ავთანდილ მამალაძეს, რომელიც მილიციაში მუშაობდა ერკეთში, მან გააღო არსენალის კარები და აჯანყებულებს გადასცა იარაღი.²⁸

ლანჩხუთელ აჯანყებულთა შეკრების ცენტრად დასახელდა სოფელი ჯაბელი.²⁹

ჩოხატაურში აჯანყებულების შეკრების ცენტრად დასახელდა ეწერი (ქვემო ერკეთი), უნდა განვმარტოთ, თუ რატომ აირჩიეს თავშეყრის ადგილად ქვემო ერკეთი. სტრატეგიული თვალსაზრისით, ის ერთ-ერთი ახლო დაშორებული პუნქტია ჩოხატაურიდან, ამავრდოულად სწორი რელიეფი მეტად მოსახერხებელია რაზმის გადაადგილებისათვის, გარდა ამისა, რაზმელები სწორედ ზემოთ მდებარე სოფლებიდან იყვნენ. ამ სოფლებიდან მომავალი გზები კვეთს ქვემო ერკეთს. ამ რაზმებს არ უხდებოდათ რაიმე სირთულის გადალახვა, სანამ შეკრების ადგილს მიაღწევდნენ. ჩოხატაურთან ეწერზე უფრო ახლოს მდებარეობს სოფელი გორა, მაგრამ, ჩვენი აზრით, გორა არ აირჩიეს ერთი მარტივი მიზეზის გამო, ოზურგეთიდან შემომავალ მთავრობის ჯარს მოუწევდა გორას გამოვლა, რაც გამოიწვევდა აჯანყებულებთან მათ შეტაკებას შეკრების ადგილას, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლიდა ჩოხატაურის აღებას. კოხნარის და ფარცხმის რაზმები არ მოსულან ქვემო ერკეთში. ჩვენი აზრით, იმიტომ რომ ჩოხატაურის გამოვლა მოუწევდათ, რაც საშიში იყო მათთვის და დროსაც დაკარგავდნენ.³⁰

²⁷სუიკსა. ფონდი. 2417. აღ. 1. საქ. 336, ფურც. 4.

²⁸ქეთევან სიხარულიძე, ნოდარ ჩხაიძე. ჩოხატაურის 1919 წლის აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. კავკასიის უნივერსიტეტის შრომების კრებული. თბ. 2018, გვ. 88.

²⁹ყურნ. „რევოლუციის მატთანე“. №2. თბ. 1926, გვ. 4.

³⁰ქ. სიხარულიძე, ნ. ჩხაიძე. ჩოხატაურის 1919 წლის აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. კავკასიის უნივერსიტეტის შრომების კრებული. თბ. 2018, გვ. 89.

რაც შეეხება ეკონომიკურ საკითხს, აჯანყებულები ფინანსურ დახმარებას იღებდნენ ამიერკავკასიის კომიტეტისგან, მათ უშუალოდ ფულს აწვდიდა გ. სტურუა. მაგალითად, ტ. მაგლობლიშვილი იხსენებს რომ 5 ნოემბერს 50 ათასი მანეთი გადასცა გიორგი სტურუამ მეამბოხეებს.³¹ ჩვენ ცნობა გვაქვს აჯანყებულებისათვის თანხის მიწოდების მხოლოდ ერთ ფაქტზე, მაგრამ საფიქრებელია რომ მსგავსი შემთხვევები იქნებოდა აჯანყების მზადების საწყის ეტაპზე. გურიის შეიარაღებული გამოსვლა არც ისე მცირე თანხებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ნოე რამიშვილმა 18 ნოემბრის დამფუძნებელი კრების სხდომაზე განაცხადა რომ, გურიის აჯანყებაში ბოლშევიკების მხრიდან დაიხარჯა 12 მილიონი მანეთი.³² მაგრამ აქ გასათვალისწინებელია 1919 წლის ფულის კურსი, ქვეყანაში ინფლაცია იყო და მოცემული თანხა კოლოსალური მნიშვნელობის არ ყოფილა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აჯანყებულთა რიგებში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ 1905, 1907 წლების რევოლუციაში, მათ საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდათ ამ მხრივ დაგროვებული, ბევრი მათგანი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში და ახალდაბრუნებული იყო ფრონტიდან. ამ მხრივ ჩვენთვის მეტად საინტერესოა აჯანყებული მელიტონ მამალაძის ისტორია, რომელიც ტყვედ იყო წამყოფი პირველ მსოფლიო ომში, ეგერის ტყვეთა ბანაკში: მას მეტად საინტერესო ისტორია ჰქონდა, გერმანულის კარგად ათვისების გამო მალევე გადაუყვანიათ ბანაკის უფროსად, აქტიურად მონაწილეობდა ქართული კულტურისა და სიმღერის პოპულარიზაციისთვის. 1917 წელს ვენის მეცნიერებათა აკადემიაშიც კი მიიწვიეს, სადაც წარადგინა ქართული სიმღერა და კულტურა.³³

2.2. აჯანყების მსვლელობა

1919 წლის ოქტომბრით დათარიღებული დეკემბა, გვაუწყებს, რომ მთავრობა მოელოდა გარკვეულ რაიონებში ბოლშევიკთა აჯანყებას, ჩამოთვლილი იყო შემდეგი ადგილები : „ცაგერი, ონი, ოზურგეთი, სენაკი, ყვირილა.“³⁴ სახელმწიფომ არაერთი

³¹სუიცსა. ფონდი 2417. აღ. 1. საქ. 107, ფურც. 3.

³²გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №264. 1919, გვ. 2.

³³საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი პარტიული არქივი) ფონდი 8. საქ. 259. აღ. 2. ფურც. 68.

³⁴სცსა. ფონ. 1863. აღ. 1. საქ. 1429, ფურც. 259.

ლონისძიება გაატარა ანარქიასთან და კერძოდ ბოლშევიკების ავანტიურებთან საბრძოლველად, მათგან აღსანიშნავია შემდეგი: 1919 წლის 16 ივნისის მთავრობის გადაწყვეტილებით, შსს მინისტრს გადაეცა 500. 000 მანეთი თანხა ანარქიასთან საბრძოლველად,³⁵ (ეს მხოლოდ ერთჯერადი ღონისძიების შედეგია) აღსანიშნავია ისიც, რომ 1920 წლისთვის, როდესაც მკვეთრად იმატა აჯანყებათა რიცხვმა, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ანარქიასთან ბრძოლისთვის შექმნილ რაზმს გაუხანგრძლივებოდა მოქმედების პერიოდი 1920 წლის 1 ივნისამდე, ამ რაზმის განკარგულებაში ირიცხებოდა 3. 352.000 მანეთი.³⁶

საინტერესოა, თუ რა ძალა იყო მთავრობის განკარგულებაში გურიის რეგიონში?

ოფიციალური დოკუმენტებით, გურიაში განლაგებული იყო ქვეითთა და ცხენოსანთა რაზმი, რომელიც ჯამში აერთიანებდა 750 ქვეითსა და კავალერიტს, მათ შეიარაღებაში ჰქონდათ 2 მაქსიმის და სხვა ტიპის 10 ტყვიამფრქვევი.³⁷ თუმცა, ერთია რა წერია ოფიციალურ დოკუმენტში და რეალურად რისი მობილიზება შეუძლია ადგილობრივ ძალებს, გურიის აჯანყების ჩახშობაში გამოყენებული იქნა, როგორც გვარდია, ასევე ადგილობრივი მილიცია, ასევე საჭირო გახდა ცენტრიდან გამოეგზავნათ ძალები, მაგალითად გვარდიის დაქვემდებარებაში მყოფი ჯავშნოსანი მატარებელი და მისი რაზმი. ხოლო, ჩოხატაურში ადგილობრივმა ძალებმა აჯანყების ჩახშობას ჯეროვნად გაართვეს თავი.

აჯანყება ლანჩხუთში დაიწყო 8 ნოემბერს, როგორც ჩანს, აჯანყებულთა რიცხვი მცირე არ იყო, მაგრამ მათთვის მთავარ დაბრკოლებას იარაღის ნაკლებობა წარმოადგენდა. ძნელია, აჯანყებულთა ზუსტი რიცხვის დადგენა, თუმცა ერთი რამ ცალსახაა, აჯანყებულთა რაოდენობა მცირე არ ყოფილა, მაგალითად გვარდიის ფონდში დაცული მონაცემების თანახმად, 8 ნოემბრის ლანჩხუთის აჯანყების გამო თავდაპირველ ეტაპზე დაჭერილი იყო 137 კაცი,³⁸ თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მთავრობამ ვერ მოახერხა აჯანყებულების დაჭერა სრულად, უფრო დიდმა ნაწილმა მოახერხა თავის დახსნა, არ მოგვეპოვება ჩოხატაურის აჯანყებულთა ზუსტი რიცხვი.

³⁵სცსა. ფონ. 1833. აღ. 1. 527, ფურც. 1.

³⁶სცსა. ფონ. 1833. აღ. 1. საქ. 609, ფურც. 7.

³⁷სცსა. ფონ. 1970. აღ. 3. საქ. 14, ფურც. 72.

³⁸სცსა. ფონდი. 1970. აღ. 3. საქ. 16, ფურც. 31.

მაგალითად, ლანჩხუთელი აჯანყებული აპ. იმნაიშვილი წერდა რომ სოფ, ჯაბელში 500-ზე მეტმა ლანჩხუთელმა აჯანყებულმა მოიყარა თავი აჯანყების დროს.³⁹ ჩოხატაურის მსგავსად, ლანჩხუთელ აჯანყებულებსაც ჰქონდათ კონკრეტული გეგმა, თუ რა ობიექტები უნდა დაეკავებინათ რაიონში. საარქივო მასალიდან ვიგებთ, რომ აჯანყებულებმა მოახერხეს მთელი რიგი შენობების დაკავება ლანჩხუთში.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გვამცნობს, რომ აჯანყებულებმა დილის 3 საათზე უკვე ხელში ჩაიგდეს მნიშვნელოვანი ობიექტები.⁴⁰ „დღეს დილით სუფსაში მოხდა ბოლშევიკურ - კომუნისტური შეიარაღებული გამოსვლა. დაიკავეს თითქმის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულება, დარჩა მარტო ფოსტა ჩვენს ხელში, რომელსაც მილიციონრები იცავენ და იარაღს არ ყრიან, დაჩქარებით მოგვეშველეთ“.⁴¹ მოცემული ინფორმაცია მცდარია, ეს პირველ რიგში ჩანს საარქივო მასალიდან, სადაც ეს ხარვეზი გასწორებულია, ვკითხულობთ: „გთხოვთ უარყოთ ცნობა თითქოს ბოლშევიკებს ჩაეგდოთ ხელში ლანჩხუთის ყველა სახელმწიფო თუ სხვა დაწესებულებები, ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს მხოლოდ მილიციის სამმართველო, რომელშიც იყო 4 მილიციონერი, ორი საათის შემდეგ გვარდიამ და მილიციამ უკანვე დაიბრუნა სამმართველო. უმეტესობა ბოლშევიკების ხელში ჩავიგდეთ ას კაცზე მეტია დატუსაღებული.“⁴² აჯანყებულებმა დაატყვევეს ხმოსანი წილოსანი.⁴³ მოცემულ ცნობას ადასტურებს ლანჩხუთის აჯანყების მონაწილე აპ. იმნაიშვილიც.⁴⁴

მიუხედავად იმისა, რომ ფოსტა-ტელეგრაფი ნამდვილად იყო ადგილობრივი ძალების ხელში, მაშინ რატომ გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, თითქოს ყველა შენობა გარდა ფოსტისა ამბოხებულთა ხელში ყოფილიყო?! ალბათ, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ აჯანყებულებმა მოახერხეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილის, პოლიციის შენობის აღება, რამაც შექმნა ილუზია იმისა რომ ყველაფერს ისინი აკონტროლებდნენ. როგორც ჩანს, მაშინ, როდესაც გვარდია აქტიურად ჩაერთო აჯანყების ლიკვიდაციაში და, რაც მთავარია, ადგილზე გამოჩნდა ტყვიამფრქვევები

³⁹ყურნ. „რევოლუციის მატთანე“. №2. 1926, გვ. 4.

⁴⁰გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №256. 1919. გვ. 2.

⁴¹სცსა. ფონდი. 1863. აღ. 1. საქ. 1448, ფურც. 138.

⁴²სცსა. ფონდი. 1863. აღ. 1. საქ. 322, ფურც. 150.

⁴³გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, №256. 1919, გვ. 2.

⁴⁴იბ. „რევოლუციის მატთანე“, 1926, № 2. გვ. 7.

(განსხვავებით ჩოხატაურისგან ტყვიამფრქვევი არ ჰქონია ლანჩხუთის აჯანყებულთა რაზმს) აჯანყებულთა წინააღმდეგობა მალევე დასრულდა. აჯანყებულებს ორივე რაიონში ერთი კონკრეტული გეგმა ჰქონდათ, რაკი ვერ განხორციელდა ადგილობრივი ერთეულების ბოლომდე საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევა, ორივე მხარემ დაიწყო მოქმედება მთავარი მიზნის მისაღწევად, მთავარ მიზანს მთავრობის გავლენის ქვეშ მოქცეულ ოზურგეთზე თავდასხმა წარმოადგენდა. ამ მიზანს არაერთი მოტივი ჰქონდა, პირველ რიგში აჯანყებულები ხელში ჩაიგდებდნენ რეგიონს ყველაზე დიდ ადმინისტრაციულ ერთეულს, მნიშვნელოვან წარმატებას მოიპოვებდნენ სტრატეგიული თვალსაზრისით, ამავდროულად მთავარი ცენტრის ხელში აღება აამაღლებდა აჯანყებულთა განწყობასა და მოტივაციას. ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტის აღება შექმნიდა შემდგომი „წარმატებების“ მიღწევის ილუზიას.

როგორც ჩანს, ტყვიამფრქვევის უქონლობამ, განაპირობა სწორედ ის, რომ ლანჩხუთელმა აჯანყებულებმა დაიწყეს ცენტრის დატოვებას და უკან დახევა სამების მთების მიმართულებით. სადაც დაიგეგმა ოზურგეთში გადასვლა. აჯანყებულები მთებში 2 დღის განმავლობაში იყვნენ გახიზნული და შემდეგ გადავიდნენ სილაურში,⁴⁵ თუმცა სილაურში მათ სასურველი მდგომარეობა არ დახვედრიათ.

აჯანყებული აპ. იმნაიშვილი ასახელებს, რომ, სუფსის მიდამოებში, სილაურის მახლობლად, მან 4 ზარბაზანი და რამდენიმე ტყვიამფრქვევი შენიშნა⁴⁶ შესაბამისად ადგილობრივი წინააღმდეგობა უკვე დიდი ხნის გატეხილი იყო. სილაურიდან აჯანყებულთა ნაწილმა გაქცევა მოახერხა, ნაწილი კი თავად აპოლონ იმნაიშვილის მონაწილეობით ტყვედ ჩავარდა და გადაყვანილი იქნა ოზურგეთის ციხეში. სწორედ მათთან ერთად მოხვდა ხიდისთაველ ანაჯყებულთა მიყვანა ოზურგეთის ციხეში. „შეტაკების შედეგად მოკლულ იქნა სამი გვარდიელი, ჯავშნოსანმა მატარებელმა შეიპყრო 40 კაცი“.⁴⁷

რაც შეეხება ჩოხატაურის აჯანყებას. ბოლშევიკურ რაზმებს ერკეთში მისცეს კონკრეტული გეგმა, სია იმ პუნქტებისა, რომელიც უნდა აეღოთ ჩოხატაურში. გვარდიის შტაბის აღება დაევაღათ მშებ მამალაძეებს. შერმანდი ცინცაძეს, სანდრო რამიშვილს

⁴⁵სუიცი. ფონდი. 2417. აღ. 1. საქ. 107, ფურც. 5.

⁴⁶სუიცი. ფონდი. 2417. აღ. 1. საქ. 107, ფურც. 5.

⁴⁷გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №256. 1919, გვ. 2.

დაევალებათ დემოკრატიული რესპუბლიკის ერობისა და მილიციის აღება, ხოლო ფოსტის დაკავება ისიდორე მამალაძისა და თეოფილე თედორაძის რაზმებმა ითავეს.⁴⁸

8 ნოემბერს, ღამით, დაახლოებით 1-ლი საათისთვის მზადყოფნაში იყვნენ რაზმები, რომლებიც დაიძრნენ ჩოხატაურის მიმართულებით, ხევ-ერკეთის, ნაბელღავის, ხიდისთავის ჯგუფებს შეუერთდა გორაში გამაგრებული შუა ამაღლების რაზმი, თავის მხრივ კოხნარისა და ფარცხმის რაზმები ჩოხატაურში შემოვიდნენ საპირისპირო მიმართულებით.⁴⁹ გათენებისას გაისმა ნიშანი იმისა, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. ფოსტა-ტელეგრაფში ბოლშევიკებმა ტყვედ აიყვანეს ფოსტის უფროსი ჩიგოგიძე და სტუდენტი შაქარიშვილი.

ადგილობრივმა ბოლშევიკებმა გარდა იმისა, რომ გამოაცხადეს საბჭოთა ჩოხატაური დაიწყეს არსებული პოზიციების გამაგრებისთვის ბრძოლა. „სოფლებში შეიქმნა რევკომები და წითელი პოლიცია“.⁵⁰ მოეწყო სადარაჯო რკალი,⁵¹ მგზავრებს უნებრათვოდ არ უშვებდნენ რაიონში და, რაც მთავარია, განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეს საჯავახოსა და სურების გზაზე, რათა სწორედ აქედან იყო მოსალოდნელი მენშევიკების შემოსვლა. სწორედ ასეთ ვითარებაში სუფსის ხიდთან ჩნდება გვარდიის მეთაური მათითაიშვილი თავისი გვარდიელებით და ტყვიამფრქვევის მეშვეობით იწყებს ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ. როგორც თვითონ ბოლშევიკები იხსენებენ ასეთი უეცარი რეაგირების მიზეზი იყო ის, რომ მათითაიშვილი თავის სოფელში ხიდისთავში იმყოფებოდა და როდესაც გაიგო აჯანყების ამბავი ადგილზე მოუყარა თავი გვარდიელებს.⁵² როგორც, გაზეთ „ერთობის“ რედაქცია გვაუწყებს, ბრძოლამ ხიდთან მათითაიშვილსა და ბოლშევიკ მამალაძის რაზმს შორის მთელი დღე გასტანა. სწორედ მამალაძის რაზმს ჰქონდა მაქსიმის ტიპის ტყვიამფრქვევი, როგორც ჩანს, მათ ეს ტყვიამფრქვევი ხელში ჩაიგდეს ჩოხატაურის ალების დროს. აჯანყებულებს რომ ნამდვილად ჰქონდა ტყვისმფრქვეველი დასტურდება საარქივო მასალაშიც, მაგალითად: გაცნობებთ, რომ გურიაში ლიკვიდაცია მოვახდინეთ, მრავალნი

⁴⁸ქ. სიხარულიძე, ნ. ჩხაიძე. ჩოხატაურის 1919 წლის აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. კავკასიის უნივერსიტეტის შრომების კრებული. თბ. 2018, გვ. 90.

⁴⁹ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, უშმაჯურიძის ნარკვევი, გვ. 14.

⁵⁰დ. ჯიბლაძე. 1919 წლისშეიარაღებულაჯანყებასაქართველოში. თბ. გამომცემლობა. 1957, გვ. 47.

⁵¹ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, უშმაჯურიძის ნარკვევი, გვ. 19

⁵²სუიცა. ფონდი. 2417. ად. 1. საქ. 107, ფურც. 13.

დავატყვევთ, მრავალნი თავის ნებით მოდიან, იარაღს გვაბარებენ და მორჩილებას აცხადებენ. ერკეთის მემბოხეებმა მოიტანეს ტყვიის მფრქვეველი, რომელიც იყო გატაცებული ჩოხატაურის არსენალიდან, მრავალნი იარაღი მოვკრიფეთ.⁵³ უფრო მეტიც, გაზეთი „ერთობა“ გვამცნობს რომ აჯანყებულებმა მთავრობას ჩოხატაურში ჩააბარეს ორი ტყვიამფრქვევი.⁵⁴

8 საათზე, მათითაიშვილს გურიის მილიციის ძალების უფროსი პოლკოვნიკი ცომაია წამოეშველა სახალხო გვარდიის ძალით, ზარბაზნებით და ჯარისკაცებით.⁵⁵ ღამის 4 საათზე დაბა სამთავრობო ძალების ხელში გადავიდა:

„ჩოხატაურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსმა მაცნობა, მე დეპეშით რომ 9 ნომებერს 5 საათზე დილით ბოლშევიკებმა აიღეს ჩოხატაური მაგრამ იმ დღესვე ღამის 12 საათზე ოზურგეთის მომაშველე ჯარმა უკუაგდო ბოლშევიკების ბრბო და ისევ დაიკავეს ჩოხატაური. ფოსტა არ გაუძარცვიათ მხოლოდ წაიღეს სამი ნაგანის რევოლვერი თოფის პატრონებით.⁵⁶ იარაღის მარაგის შევსება აჯანყებულებმა მოახერხეს დაკავებული ობიექტების გაძარცვის მეშვეობით.

როგორც ჩანს, სანამ იყო ილუზია იმისა რომ აჯანყება ხდებოდა არამხოლოდ გურიაში, არამედ მთლიანად საქართველოში, განწყობის ფსიქოლოგიის თეორიის თანახმად, მათი ბრძოლა უფრო შედეგიანი იყო. თუმცა: „ნაშუადღევს სამ საათზე, მოვიდა ცნობა სამტრედიიდან რომ საერთო აჯანყება ჩავარდა“.⁵⁷ ამავე დღეს საქართველოში აჯანყება მოხდა მხოლოდ გორში, ახალქალაქსა და მეჯვრისხევში. როგორც ნოე რამიშვილმა განაცხადა, დამფუძნებელი კრების 11 ნოემბრის სხდომაზე: „შეთქმულებმა დააპატიმრეს ადგილობრივი ადმინისტრაცია და სათემო თვითმმართველობის წევრნი. დატუსაღებულ იქნა ადგილობრივი მილიციის უფროსი. სახალხო გვარდიის და სამაზრო ადმინისტრაციის მიერ რამდენიმე საათში წესრიგი აღდგა“.⁵⁸

⁵³სცსა. ფონდი. 1863. აღ. 1. საქ. 322, ფურც. 166.

⁵⁴გაზ. „ერთობა“. №264. 1919, გვ. 4.

⁵⁵გაზ. „ერთობა“. №281, 1919, გვ. 3.

⁵⁶სცსა. ფონდი. 1863. აღ. 1. საქ. 322, ფურც. 143.

⁵⁷ჟურნ. „რევოლუციის მატთანე“. №2. 1926, გვ. 19.

⁵⁸გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №257. 1919, გვ. 2.

როგორც ირკვევა, ჯავშნოსანი მატარებლის რაზმი (მეთაური ვალოდია გოგოუაძე) ჯერ თავს დაესხა ლანჩხუთის აჯანყებულებს. უფრო სწორად, ის პირდაპირ დაიდრა სუფსისაკენ და გააუვნებელყო აჯანყებული ბოლშევიკები სუფსაში.⁵⁹ ჩოხატაურში ჯავშნოსანი მატარებელი ვერ შემოვიდოდა ერთი კონკრეტული მიზეზის გამო ჩოხატაურში არ იყო რკინიგზა. ჩოხატაურში რკინიგზის არ არსებობამ განაპირობა ისიც რომ აჯანყების ერთ-ერთ მთავარ ცენტრი ჩოხატაური მოიაზრებოდა, რადგან ვერ მოხდებოდა ჯავშნოსანის სწრაფი რეაგირება იქ სადაც არ იყო რკინიგზა. სწორედ ამიტომ, ჯავშნოსანი მატარებლის გადასროლა მოხდა ლანჩხუთში, რადგან ყოველგვარი შეფერხების გარეშე მისულიყო დანიშნულების პუნქტამდე. ლანჩხუთში მდგომარეობის მოწესრიგების შემდეგ მოხდა ძალების გადანაწილება და სათანადო გეგმის განხორციელება. ჯავშნოსანი მატარებელი გადავიდა საჯავახოში და გადმოსხა რაზმი, რომელიც ჩოხატაურში შემოვიდოდა აღმოსავლეთის მხრიდან. სამტრედიიდან დაიდრნენ გვარდიელები და მძევი ვალოდია და ალფესგოგუაძეები.⁶⁰ აღმოსავლეთის მხრიდან რომ განხორციელდა შემოსვლა ამას ადასტურებს აჯანყებულთა მოგონებებიც. ჯავშნოსანის რაზმის გამოჩენამ ჩოხატაურშიც მარტივად გატეხა წინააღმდეგობა. შესაბამისად აჯანყებულებმა გადაწყვიტეს უკან დახევა. მათი ძალა გაიყო ორ ნაწილად. : „ერთი ნაწილი წავიდა ხევ-ერკეთისკენ მამალაძეების ხელმძღვანელობით, მეორე ნაწილი კი ნიგოთი-ამაღლების მხრით მთაში.“⁶¹

როგორც ჩანს, ადგილობრივმა ძალებმა გათვალეს რა გზით დაიწყებდნენ მსვლელობას დაფანტული აჯანყებულები და დაიწყეს მნიშვნელოვანი კომუნიკაციის მოსპობა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი გადადგმული ნაბიჯი იყო: „მდ. გურისტბაზე ხიდის გადაჭრა, რის გამოც აჯანყებულები იძულებულები გახდნენ მდინარე ცურვით გადაელახათ“.⁶² ჩანს, უკან დახევა საკმაოდ ორგანიზებული იყო და არა ქაოსური. რადგანაც, მთლიანი აჯანყება ჩავარდა აჯანყებულებს ალტერნატიული გეგმა

⁵⁹გაზ. „ერთობა“. №281. 1919, გვ. 3.

⁶⁰გაზ. „ერთობა“. №281. 1919, გვ. 3.

⁶¹ჟურ „რევოლუციის მატანე“. №2. 1926, გვ. 19.

⁶²საქართველოს შინაგანსაქმეთა სამინისტროსაკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი პარტიული არქივი). ფონდი. 8, აღ. 2. საქ. 259, ფურც. 80.

შემუშავებული ჰქონდათ სწორედ ამიტომ მთავარი შტაბიც ორ ნაწილად გაყვეს, გაითვალისწინეს რომ შემდგომში კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნოდათ.

აჯანყების მონაწილეების ცნობები ზოგ შემთხვევაში წინააღმდეგობრივია და მცდარია, მაგალითად, შსს-ს არქივში დაცულ ბიქტორ მამალაძის ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ: „აჯანყებულებმა ჩოხატაური სამი დღის განმავლობაში ჩაიგდეს ხელში“,⁶³ ცხადია ეს შეცდომა შემთხვევითი ნაკლებად უნდა იყოს, ავტორი მიზანმიმართულად ამახინჯებს ფაქტებს, რადგან ეს ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა მას საბჭოთა კავშირში არსებობის კუთხით.

2.3. აჯანყების დასასრული, პროცესების შეჯამება.

შეიძლება ითქვას, რომ აჯანყებას მთავრობის მხრიდან სწრაფი რეაგირება მოჰყვა. აჯანყების ჩახშობაში, პირველ რიგში, მთავარი როლი ითამაშა ადგილობრივმა გვარდიამ ს. მათითაიშვილის ხელმძღვანელობით, გადამწყვეტი როლი კი, ალფესი და ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანმა მატარებელმა. უნდა აღინიშნოს, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობა, მათ ჩამოაყალიბეს რაზმები და სახელმწიფო ძალებს ეხმარებოდნენ გაქცეული ბოლშევიკების დაკავებაში: „2791-ში ანუ ოზურგეთის მაზრაში მდგომარეობა ნორმალურია, ჩოხატაური დავიბრუნეთ, ბოლშევიკები გარეკილი არიან, რამდენიმე დავიჭირეთ, ჯარების გამოგზავნა საჭირო არ არის, ხალხი დიდ წინააღმდეგობას უწევს ამბოხებას. შემდგარია დამსჯელი რაზმი ადგილობრივი მოსახლეობისგან, რომელიც გვეხმარება გაქცეულების დაჭერაში“.⁶⁴

ადგილობრივების აქტიურობასთან დაკავშირებით შეგვიძლია მოვიტანოთ საერო მხარის თავმჯდომარის დეპეშა: „გურიის ამბავი ალბათ უკვე ყველას მოგეხსენებათ. ლანჩხუთში, სუფსაში და ჩოხატაურში შეიარაღებული გამოსვლა მოაწყვეს. სიხარულით და სიამაყით მოგახსენებთ ხალხის ერთსულოვან გამოსვლას აჯანყებულთა წინააღმდეგ. ყოველი კუთხიდან მოდის რესპუბლიკის ერთგული ხალხი, რომელიც მზადაა თვისი მთავრობის იარაღით დასაცავად. ლანჩხუთში, სუფსაში,

⁶³საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი პარტიული არქივი) ფონდი. 8. აღ. 2. საქ. 259, გვ. 41-42.

⁶⁴სცსა. ფონდი. 1863. აღ. 1. საქ. 1448, ფურც. 39.

ჩოხატაურში ბევრია დაჭერილი, რომლებიც დაისჯებიან. სრული ლიკვიდაცია უკვე მოხდა“.⁶⁵

ჩოხატაურში არსებული ძალა რომ ჯეროვნად გაუმკლავდა შექმნილ სიტუაციას მიანიშნებს ს. მათითაიშვილის დეპუტა შემდეგი შინაარსით, რომლესაც სწერს გვარდიის მთავარ შტაბს: „არავითარი დახმარება, საოლქო შტაბს ბოლშევიკების გამოსვლა - ლიკვიდაციისთვის არ ესაჭიროება ჩვენი ძალებით შევძლებთ მის ლიკვიდაციას“.⁶⁶

უნდა გამოვყოთ აჯანყების წარუმატებლობის მიზეზები:

პირველ რიგში, მთავარი მიზეზი მარცხისა, იყო ის რომ აჯანყება არ წარმართულა შემუშავებული გეგმის მიხედვით, ვერ მოხერხდა საერთო შეირაღებული გამოსვლის მოწყობა საქართველოში. შესაბამისად აჯანყება მხოლოდ გურიაში (ახალქალაქში და გორში) თავიდანვე განწირული იყო მარცხისთვის. მითუმეტეს რომ აჯანყებას თავიდანვე გამოეთიშა გურიის ცენტრი ოზურგეთი.

მარცხის მეორე მიზეზი იყო არა საკმარისი რესურსი, აჯანყებულებს არ გააჩნდათ საჭირო ოდენობის ადამიანური რესურსი და იარაღი.

მესამე მიზეზი - სახელმწიფოს ოპერატიული რეაგირება, რომელმაც ერთ დღეში მოახდინა აჯანყების სრული ლიკვიდაცია. სამთავრობო ძალების უპირატესობას, არახელსაყრელ მდგომარეობას, როგორც ჩანს, უკვე ხვდებოდნენ აჯანყების მეთურებიც და ეს აჯანყებაც ავანტიურის სახეს იღებდა ბოლო მომენტისკენ, ამასვე აღიარებს ფილიპე მახარძე, რომელიც წერდა: „მაგრამ უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ საერთო სიტუაცია მთელ საქართველოში იმ დროს უკვე არახელსაყრელი იყო აჯანყების გამარჯვებისთვის. ამაში იყო მთელი ტრალიზმი ამ აჯანყებისა“.⁶⁷

აჯანყების მარცხის მიზეზად სახელდება გეოგრაფიული პირობები, კლიმატი, კერძოდ გახშირებულმა წვიმებმა განაპირობა მდინარეების ადიდება, რაც ხელს უშლიდა აჯანყებულებს კომუნიკაციაში.⁶⁸ თუმცა, ცხადია, ეს აზრი რეალობას აცდენილია და მარცხის მთავარ ფაქტორებზე ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება.

⁶⁵სცსა. ფონდი. 1970. აღ. 3. საქ. 17, ფურც. 149.

⁶⁶სცსა. ფონდი. 1970. აღ. 3. საქ. 17, ფურც. 24.

⁶⁷ფ. მახარაძე. საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917-1921. თბ. 1927, გვ. 188.

⁶⁸საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VI. თბ. 1972, გვ. 668-669.

აჯანყებული აპ. იმნაიშვილი თავის მოგონებებში იხსენებს რომ მთავრობამ ყოველგვარი დაკითხვის და გასამართლების გარეშე დახვრიტა 8 აჯანყებული. ეს სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ჩვენ ხელთ არის მასალა, რომელიც ასახავს ლანჩხუთელი აჯანყებულების დაკითხვის ოქმებს, სიაში მოყვანილია რამდენიმე ათეული კაცი, რომელთა ნაწილმაც უარი განაცხადა თანამშრომლობაზე, ნაწილმა აღიარა ბრალი და აჯანყების მეთაურები დაადანაშაულა ტყუილში. იუსტიციის სამინისტროს პროკურორი ხარაზიშვილი წერდა: „გურიაში მოქმედებს უკვე სამხედრო საგანგებო სასამართლო, რომელიც მოქმედებს კვლევა-ძიებით შეგროვილ მასალით და ასამართლებს ბოლშევიკური გამოსვლების ბრალდებულთ“.⁶⁹

საბოლოოდ საველე სასამართლომ გაასამართლა და დახვრიტა 8 კაცი ჩოხატაურიდან: სამხედრო საველე სასამართლომ დატყვევებულებს სხვადასხვა სასჯელი მიუსაჯა, ხოლო 8 კაცი სიკვდილით დასაჯა, ესენი იყვნენ: პარმენ მამალაძე, ტარასი მინდაძე, მიხეილ ბერძენიშვილი, ანდრო ახალაძე, თეოფილე თედორაძე, ბენიამინ ბერიძე, ფილიმონ გოგოლაძე, ავთანდილ მამალაძე, ისინი ოზურგეთში ვაშნარის მიდამოებში დაიხვრიტნენ“.⁷⁰

ლანჩხუთიდან დახვრიტეს: ილ. სარჯველაძე, კიმოთე კერესელიძე, კალისტე კილაძე, გოგვაძე, გოგიჩაიშვილი, გვარჯალაძე, ჩხაიძე.⁷¹ დღეს საღამოს სასამართლომ ჩოხატაურის საქმეზე 8 კაცს გადაუწყვიტა დახვრეტა, 9 გაამართლა, 25 გადასცა გამომძიებელს ციხეში ჩასმით“.⁷²

მოგონებებში დაცულია ცნობა, რომლის მიხედვითაც ჯავშნოსანი მატარებლით პატიმართა გადაყვანისას პატიმართა ნაწილმა გაქცევა სცადა სწორედ ასეთ ვითარებაში ბრძოლაში სამი ლანჩხუთელი აჯანყებული დაიღუპა, ჯავშნოსანი მატარებლის ეკიპაჟმა პატიმრები დახვრიტა ე.წ ჯიკის ტბასთან ნიგოთში⁷³. ამ მომენტში გაქცევა მოახერხა მოსე სირაძემ და სიმონ ადეიშვილმა. 60-იან წლებში, როდესაც გურიის რეგიონალურ

⁶⁹სცსა. ფონდი. 1938. აღ. 1. საქ. 422, ფურც. 29.

⁷⁰გაზ. „ლენინისდროშა“. №131. 1969, გვ. 4.

⁷¹ფ. მახარაძე. საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917-1921. თბ. 1927, გვ. 188.

⁷²სცსა. ფონდი. 1863. აღ. 1. საქ. 322, ფურც. 169.

⁷³ჟურ. „რევოლუციის მატთან“. №2. 1926, გვ. 9.

პრესაში იხსენებდნენ აჯანყებას, დახვრეტის ადგილს მხოლოდ ვაშნარს ახსენებდნენ, მაშინ როდესაც ბოლშევიკები დაილუპნენ ე.წ ჯიკის ტბასთანაც, თუმცა საბჭოთა პრესა, ალბათ, შეგნებულად აპელირებდა მხოლოდ ვაშნარზე, რათა ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, გვარდიელებთან დაკავშირებული ნარატივი შეეცვალა კომუნისტური ნარატივით. საზოგადოებრივ მახსოვრობას შემორჩენოდა ინფორმაცია, რომელიც მენშევიკებს მოძალადედ წარმოაჩენდა ხოლო ბოლშევიკებს მსხვერპლად. მაშინ როდესაც ვაშნარი ასოცირდებოდა ოსმალეთთან ომს შეწირულ გვარდიელებთან.

გურიის აჯანყებას არ შეუწირავს მხოლოდ ბოლშევიკების სოცოცხლე. კერძოდ, დაილუპნენ გვარდიელები, თუმცა ჩვენ ხელთ არსებული სია რამდენად სრულია არ ვიცით, დაღუპული გვარდიელები იყვნენ: რუსია, ჩიგოგიძე, ყენია და თოდუა, თავბერიძე მოკლეს ჩოხატაურში ხიდთან ბრძოლაში.⁷⁴

ბოლშევიკთა გამოსვლების გამოძიებას მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიანიჭა. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ხსენებული საქმის გამოძიება მან არ მიანდო ჩვეულებრივ უბნის გამომძიებელს. თბილისის ოლქის სასამართლომ ბოლშევიკთა საქმის გამოძიება დაავალა სასამართლოს წევრებს ი. კობიაშვილს და მ. ორჯონიკიძეს. ხოლო თვალყურის დევნება ევალებოდა თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს მ. ტატიშვილს. ⁷⁵ როგორც თვითონ წერენ, უშუალოდ ქუთაისის გუბერნიაში საქმეების გამოძიება დაევალა ჭეიშვილს. ⁷⁶

აჯანყებულ ბოლშევიკთა დევნა გურიაში არ შეუწყვეტიათ აჯანყების დასრულების შემდგომაც, მაგალითად აჯანყებული ბიქტორ მამალაძე იხსნებდა, რომ მას შემდეგ, რაც ბოლშევიკურმა რაზმმა ხევის ტყეს შეაფარა თავი აჯანყების ჩახშობიდან რამდენიმე დღის შემდეგ მილიციის უფროსი კაპიტანი ცომია ავიდა სოფელში, გამოკითხა ადგილობრივი მაცხოვრებლები: „ტყეში შეფარებულ აჯანყებულთა

⁷⁴გაზ. „ერთობა“. №281. 1919, გვ. 3.

⁷⁵გაზ. „ერთობა“. №258. 1919, გვ. 3.

⁷⁶სცსა. ფონდი. 1938. აღ. 1. საქ. 422, ფურც. 12.

შესაშინებლად ქვემეხიდანაც კი გაისროლა რამდენჯერმე“. ⁷⁷ ამავე ცნობას ადასტურებს სამსონ მამალაძის მოგონებაც.

ამგვარად, ბოლშევიკთა გურიის 1919 წლის აჯანყება მარცხით დასრულდა. მთავრობამ სწრაფი რეაგირებით ერთი დღის განმავლობაში ჩაახშო აჯანყება, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობამ კიდევ უფრო დააჩქარა აჯანყებულთა წინააღმდეგობის საბოლოოდ გატეხვა. აჯანყებულებმა ჯერ მთებს შეაფარეს თავი, ხოლო შემდეგ არალეგალური გზით მოახერხეს ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასვლა, მათი თავშეყრის მთავარი ადგილი ბაქო იყო, სადაც დარჩნენ საქართველოს გასაბჭოებამდე, ხოლო 1921 წლის შემდეგ კვლავ საქართველოში დაბრუნდნენ. ბევრი მათგანი მონაწილეობას იღებდა 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში როგორც გურიაში ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუჩერებია მუშაობა ბოლშევიკთა გამოსავლენად და დასაჭრად, ამ მხრივ მეტად საინტერესოა დ. შარაშიძის წერილი, რომელსაც უგზავნის გვარდიის შტაბს: „ბოლშევიკმა დევნილებმა ამბოხების დროს კიდევ გაიჩინენ ამხანაგები, ყველას შესაპყრობად საჭიროებს ერთგვარი თანხა, ამიტომ გთხოვთ მთავარ შტაბს, ჩვენის პასუხისმგებლობის ქვეშ მოგვცეთ თანხა, რითაც ჩვენ შეგვეძლება მოხსენებული ავაზაკების და მათი თანამომხმეების შეპყრობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ასეთ თანხაზე მოკლებული ვართ გულზე ხელს არ ვიკრეფთ და ყოველ ღამეებს ვათენებთ მათ შესაპყრობათ, მაგრამ დავრწმუნდით უაგენტოთ, რომელიც თხოულობს სასყიდელს ისე ჩვენი მუშაობა უნაყოფო იქნება. გარწმუნებთ, რომ თქვენ მიერ გადმოცემულ თანხაზე პასუხისმგებელნი ვიქნებით საქმეს კი სასურველი შედეგი მოყვება“. ⁷⁸

სწორედ ადგილობრივი ძალების აქტიურობამ განაპირობა ის, რომ ამბოხებულებმა დაყარეს იარაღი და ქვეყნის გარეთ დაიწყეს თავშესაფრის ძებნა.

⁷⁷საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი პარტიული არქივი) ფონ. 8. აღ. 2. საქ. 259, გვ. 33.

⁷⁸სცსა. ფონ. 1970. აღ. 3. საქ. 16, ფურც. 8.

დასკვნა

ამრიგად, განვიხილეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გურიის ბოლშევიკთა 1919 წლის აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ვინაიდან ამ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში კონკრეტული ნაშრომები არ მოგვეპოვება, ნაშრომი მთლიანად ეყრდნობა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ უახლესი ისტორიის და საისტორიო არქივში დაცულ ფონდებს, ასევე შსს-ს აკადემიის არქივში დაცულ მასალებს. გარდა საარქივო მასალისა, ვეყრდნობით თანადროულ პრესას: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასა“ და „ერთობას“. ნაშრომში ასევე ვიყენებთ, ჩოხატაურის მუზეუმის მასალებს, რომელიც აჯანყების მონაწილეთა მიერ არის ჩაწერილი შედარებით გვიანდელ პერიოდში.

ნაშრომი იწყება გურიაში არსებული ბოლშევიკური განწყობების აღწერით. რათა უკეთ გავიგოთ, რეალურად რა საფუძვლები ჰქონდა ამ მოძრაობას.

ნაშრომის მეორე თავი სამი პარაგრაფისგან შედგება. პირველ პარაგრაფში ზედმიწევნით ზუსტად განვიხილეთ აჯანყების დაგეგმვის პროცესს როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ. ვისაუბრეთ, ბაქოში გამართულ გადამწყვეტ კონფერენციაზე, რომელზედაც დაიგეგმა გურიის აჯანყება და ასევე გურიის შიგნით არსებულ ბოლო შეკრებებსა და პლენუმებზე. გამოვყავით ცალკეული რაზმისთვის დასახული ამოცანები, აჯანყების დროს რომელ რაზმს რა დავალება ჰქონდა მიცემული და კონკრეტულად ვინ იყვნენ პირები, ვინც ამ რაზმებს მეთაურობდნენ. ცალკე გამოვყავით ცნობილი რევოლუციონერი ბოლშევიკების როლი კონკრეტულ აჯანყებაში. ვისაუბრეთ, აჯანყების მიზეზებსა და რესურსებზე. გარდა ამისა, ცალკეულ მიზეზებზე გავამახვილეთ ყურადღება, თუ რა მოტივით აირჩიეს ეს თუ ის გეოგრაფიული ლოკაცია აჯანყების ცენტრად და ზოგადად რელიეფის თავისებურებამ რა კვალი დაატყო აჯანყების მსვლელობას. რიგ შემთხვევაში იმდენად კონკრეტული დეტალების გარკვევაც კი მოვახერხეთ როგორცაა საიდუმლო შეკრებების პაროლები და ნიშნები.

ნაშრომის მეორე თავის მეორე პარაგრაფში აღწერილია აჯანყების მსვლელობა, მისი დაწყების დრო. ვრცლად აღვწერთ, თუ როგორ დაიწყო გამოსვლები ჩოხატაურსა და ლანჩხუთში, რა შედეგი მიაღწიეს აჯანყებულებმა, სად წარიმართა გადამწყვეტი

ბრძოლები და მთავრობის რა ძალები იქნა ჩართული აჯანყების ჩახშობის პროცესში. ასეთ ვითარებაში გამოიკვეთა ორი ადამიანის ღვაწლი, გვარდიის მეთაურის სერგო მათითაიშვილის და ადგილობრივი სამილიციო ძალების უფროსის კაპიტან ივანე ცომაიასი, რომელთა დაუღალავი მცდელობისა და ბრძოლის შედეგად გურიაში ანარქია დასრულდა და საყოველთაო წესრიგი დამყარდა.

ნაშრომის მეორე თავის მესამე პარაგრაფში შევაჯამეთ გურიის აჯანყება, ვისაუბრეთ, მის შედეგებზე. კონკრეტულად დავადგინეთ იმ ადამიანების სია, რომლებიც, როგორც აჯანყებულთა ისე მოწინააღმდეგეთა მხრიდან შეეწირა ბრძოლას. ვისაუბრეთ, აჯანყებულთა განაჩენსა და იმ ინსტანციებზე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მათ გასამართლებაში. აღვწერთ, მათი დახვრეტის ლოკაციებს. ნაშრომის ბოლოს ვაქვეყნებთ იმის დამადასტურებელ ცნობებს, რომ აჯანყების შემდგომაც ადგილობრივ სამთავრობო ძალებს ყურადღება არ მოუდუნებია და კვლავ აგრძელებდა ტყეში გახიზნული ბოლშევიკების დევნას.

ამრიგად, ჩვენ ვეცადეთ წარმოგვედგინა გურიის 1919 წლის აჯანყების მომზადების, მსვლელობის და შეიარაღებული გამოსვლის ჩახშობის პროცესი. ხანგრძლივი კვლევისა და მუშაობის შედეგად შევძელით კონკრეტული ფაქტის ისტორიული სურათის აღდგენა, რაც სიახლეს წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფიისთვის. ნაშრომის ბოლოს, დეტალურად განვიხილეთ, აჯანყების ჩავარდნისა და მარცხის გამომწვევი მიზეზები.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. მახარაძე ფილიპე. საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917-1921. თბ. გამომცემლობა სახელგამი. 1927.
2. ჟვანია გრიგოლი. ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. თბ. გამომცემლობა სახელგამი. 1957.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VI. თბ. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო. 1972.
4. სიხარულიძე ქეთევან, ჩხაიძე ნოდარ. ჩოხატაურის 1919 წლის აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. კავკასიის უნივერსიტეტის შრომების კრებული. თბ. კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018.
5. ხვადაგიანი ირაკლი. ერობა. ტ. 1. თბ. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის გამომცემლობა. 2018.
6. ჯიბლაძე დავითი. 1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში. თბ. გამომცემლობა. 1957.

დამოწმებული წყაროები:

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი:

1. სცსა. ფონ. 1863. აღ. 1. საქ. 319.
2. სცსა. ფონ. 1863. აღ. 1. საქ. 1429.
3. სცსა. ფონ. 1863. აღ. 1. საქ. 322.
4. სცსა. ფონ. 1863. აღ. 1. საქ. 235.
5. სცსა. ფონ. 1970. აღ. 3. საქ. 14.
6. სცსა. ფონ. 1970. აღ. 3. საქ. 16.
7. სცსა. ფონ. 1833. აღ. 1. საქ. 527.
8. სცსა. ფონ. 1833. აღ. 1. საქ. 609.
9. სცსა. ფონ. 1863. აღ. 1. საქ. 1448.
10. სცსა. ფონ. 1863. აღ. 1. საქ. 322.
11. სცსა. ფონ. 1970. აღ. 3. საქ. 17.

12. სცსა. ფონ . 1938. აღ. 1. საქ. 422.

13. სცსა. ფონ. 1970. აღ. 3. საქ. 16.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივი, მე-2 განყოფილება (ყოფილი პარტიული არქივი). ფონ. 8. აღ. 2. საქ. 259.

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური აქრივი:

1. სუიცა. ფონ. 2417. აღ. 1. საქ. 107.
2. სუიცა. ფონ. 2417. აღ. 1. საქ. 336.

პრესა

1. გაზ. „ერთობა“. №258. 1919.
2. გაზ. „ერთობა“. №264. 1919.
3. გაზ. „ერთობა“. №281, 1919.
4. გაზ. „ლენინის დროშა“. №131. 1969.
5. ჟურ. „რევოლუციის მატთანე“. №2. 1926.
6. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №256. 1919.
7. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №257. 1919.
8. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №264. 1919.

ჩოხატაურის მუზეუმის მასალები

1. ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, კალანდაძი-ს მოგონება.
2. ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ცინცაძე პავლეს მოგონება.
3. ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, არონიში ბარნაბის მოგონება.
4. ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ცინცაძე ასალოს მოგონება.
5. ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, უჯმაჯურიძის ნარკვევი.